ცისკარი

1874

მარტი

წელიწადი მეთვრამეტე

წოდება თხუზულებათა:

I.—ჰოლშის კორროლი და ლითვის გეთმანი —— მიხეილ ჩიგიანისა.

II.—დიდ კაცს (ლექსი) —— ი. კ.

III.—ჰასუხი ———— ალგეთელისა.

IIII.—კოსტანცია კონტარინი —— ი. კ.

ტფილისი

ექვთიმე ხელაძის სტამბაში

1874

Тифлисъ. Типографія Е. Хеладзе.

საქართველოს სახელმწიფო ბიბლიოთეკა
თბილისი
1874

ჰოლშის კოროლი და ლით-
გის გეთმანი

[ნამდვილი ანბავი]

ოგინცსკის გაუკვირდა უეცარი მოსვლა კაროლისა, რადგანც არ შეატყობინეს წინათვე, როგორც კულავ ოფილა.

— რა მიზეზია ბატონო მიხეილ, ჰკითხა კაროლმა გეთმანს, რომ კარგა ხანია აღარსადა ჭსჩანხარ?

— მე მამულის შემუშავებაზედ დავრჩი შინა, ბევრი საქმე გამოიჩნდა ტ ვეღარ ვიახელ თქვენს დიდებულებასა.

— მე შევიტყე შენი ავათმყოფობა ტ მოველი შენ სანახავათა.

— უმდაბლესად გმადლობ, მე ოვველთჯს კარგათ გახლავარ, შეცდომით მოუსსენებიათ.

— მაშ მართალია რომ შენ ვითომც სიყვარულისა-

გან თითქო ჭკუითგან იყო შეშლილ?

— თითქმის თქვენო დიდებულებავ.

— ჰ ისიც უბრალო გლეხი კაცის ქალისაგან.

სიმშვენიერე ქალისა ჩემო ჯელმწიფეე, როგორც ფრანცუზული ანდაზა მოგვითხრობს, უმაღლესი ყოველის ამ მსოფლის დიდებაზედ, ჰ არა რაო დაიმონებს მგრძნობელს გულსა, როგორც უმანკო ქალის მშვენება.

— ნუ ცელქოფ, ნუცელქობ, ჩემო საუვარელო მიხეჩილ! ალერსით უპასუხა კაროლმა, მე გხედავ რომ შენ გაგიმსია ეგ თავი ვალტერისა ჰ რუსიოს ფანტაზიებითა, იმათი აზრები იხმარების მხოლოდ თეორიაში.

— მე მჯერა თქუენო დიდებულებავ, რომ ზოგიერთს შემთხვევაში გამოდგებიან.

— რაო, მოუჭრა სიტყვა კაროლმა, აგრე თითქმის ისმის.

— თჯთ თქუენვე ჯელმწიფეე დაერწმუნებოდით ამ აზრს, თუ რომ ქალი დაახლოებით გაგეცნათ, იმის სიმშვენიერეს ის თეორია მოჭეავს არსებაში.

— ვითომ აგრე ლამაზია ეგ ქალი? ჰკითხა კოროლმა.

ოგინსკიმ ისეთის ტაბილის სიტყვებით გამოუსატა სიმშვენიერე ელჟაბეტასი, რომ გაშტერდა კოროლი,

თითქო იმასედ ლამაზი ქალი ქუჩანასედ არ ეოფი-ლიეოს.

— თუ ნამდვილათ ეგრეთია ქალი მაშ ღირსია ბა-ტვის ცემისა ჯ ურიგო არ იქნება შეიქმნას ლითვის გეთმანის მეუღლე.

— ვგონებ უმაღლესის სარისხის ღირსიც უნდა იეოს. უპასუხა ორ აზროვანად ოგნიცკიმ, რომელმაცა უანბო კაროლს ბოშის მკითხაობა ჯ იმისი წინასწარ მეტყველება. კოჰოლი დაფიქრდა.

უნდა ვსთქუათ, თუთ კოროლიც იეო მეტად ამაოდ მორწმუნე ჯ ამ მიზეზით წარმოუდგა სხუა ფიქრები; მცირე ხანს მემდეგ ბძანებლობის ხმით კოროლმა უთ-ხრა აგინცკის.

— მაშ მაჩვენე ახლავე სადედოფლო!

— აგნიცკიმ წარბებიშეიჭმუხნა, რასაკვირველია იმას არ ესიამოვნა ამ გვარი კოროლის ბძანება, რადგანც კა-რგათ იცოდა, რომ ის იეო მოტრფიალე ლამაზის ქა-ლებისა ჯ ამის მიზეზით ვერა ბედავდა ელაბეტას ჩვე-ნებასა. ამიტომაც გაჩუმდა ჯ არა მოახსენარა.

— აჰა, შესმახა ხმა მაღლა კოროლმა, ვეტეობა შენ ბოშამ გვაჩვენა სწორეთ ისე, როგორც ვერ გა-მოიცნადებია შენი აზრი, მოიგდო ველში საველმწიფო

გვირგვინი, მიკვირს, განაგრძო კოროლმა დაცინებით, ქმარს მომავალის კოროლევასას ანკი რათ უნდა ჰქონდეს ეჭვი, რომ თვითონაც შეიქნება კოროლათა, ნამეტნავათ მაშინ, როდესაც თვალთ მაქცი ბოშის ქერის ერით ადრევე შეუტკვია, დიდად შემცდარი კი ბძანდები, მაგ ახრზედ, გამიგონე უფალო მაგნატო, მე ამ საქმეზედ უეჭველად მივწერ ვოლტერსა.

ვოლტერს იმ დროს დიდკაცობა დიდად ჰატივსცემდა ⁊ ოგნიცკისაც დიდად მორიდება ჰქონდა იმისი, ამის გარდა ოგნიცკიმ იცოდა, რომ კაროლი არ მოეშვებოდა, რომ არ ეჩვენებინა ქალი, ⁊ რომ გადარჩენილიყო კოროლის დაცინებასა, გაბედა, წარედგინა ელჟაბეტა ⁊ თჯთონკი მოშორდა.

რაკი დაინახა კოროლმა ელჟაბეტა, დიდად გაუკვირდა იმისი სიმშვენიერე, თითქოს აირია ⁊ ჯერ ხმა ვერ გასცა, რადგანც თავისსიცოცხლეში იმაზედმშვენიერი ჯერ არსად ენახა, კოროლი დღე ⁊ ღამე გართული ქალებში, განვითარებული იმათთან ბაასობითა, ელჟაბეტას ხმის გაცემას ვერ უბედავდა, ისე შეკრთა ⁊ ისე გაქუდა, რომ არ იცოდა რა საგანზედ დაეწყო ლაპარაკი, რამდენიმე წამის შემდეგ ღონე მოიკრიფა ⁊ უთხრა:

— მომიტევეთ რომ შეგაწუხეთ.

— რას მიბძანებთ თქუენო დიდებულებავ, უდიდეს მოწყალებად მიმაჩნია თქუენი ეურადღება, მოახსენა ელჟაბეტამ.

— მე მხოლოდ ვისურვე ნახვა მომავალის კარროლევასი.

— ჩემი ბედნიერება დამოკიდებულია მხოლოდ გეთმანზედ; მე არა ვგონებ ღირსი ვიყო მაგ წოდებისა.

— თუკი ის მოელის კარროლობასა, თქუენ რაღა ეჭვი უნდა გქონდეთ?

— მე მხოლოდ მონატრე ვარ იმის სიცოცხლისა, რომლისგანაც კვალადცა მოველი ბედნიერებასა, მაგრამ არიან უმაღლესის ხარისხისანი, რომელნიცა თჳთან სიცოცხლეს ატარებენ უსიამოვნოდ, მე კი არა ვარ მონატრე იმისთანის ბედნიერებისა, რომელიც უნდა შეიქმნას ჩემ საწამლავად ⁄ სასიკუდილოდ.

— მაგ აზრზედ ვერ გეთანხმები, რადგანც ვიცი რომ ადამიანის ბუნება, ვერასფრით ვერ შეიქნება კმაყოფილი ⁄ სულ ებრძვის მომატებულს სიმდიდრესა ⁄ სარისხსა, თუნდა სიცოცხლედ ღირდეს ამაზედ, თქუენც დამერწმუნებით.

— რა მოგახსენოთ, მე დიდად კმაყოფილი გახლა-

ვარ ჩემის მდგომარეობისა.

— მართალია, მაგრამ თქუენ მოელით უმაღლეს სარისხსა ⁄ რათა კარგავთ იმ ღირსებასა. იმედოვნების ღიმილით გაუტარა კორონლმა თავის თავზედ.

— კორონლი იყო უცოლშვილო ⁄ ამ ლაპარაკის შემდეგ თუმცა ელჟაბეტას სხუა ⁄ სხუ აზრებმა გაუელვეს, მაგრამ დიდადა სწუსდა გეთმანის დაშორებასა, იჯდა თავის ოთახშია ⁄ მრთელი დღე სტირდა, არ იცოდა რა ექნა, ვერცა ბედავდა კორონლის უარის თქმასა, ვერც შეატყობინა ოგინსკის, კორონლი რა საგანზედ ელაპარაკა.

კორონლს თუმცა ბევრი საკელმწიფო საქმე მოელოდებოდა ვარშავაშია, მაგრამ იმ ქალის გულისათჳს დარჩა სამი დღე ნაბორხეში ⁄ მეოთხეს დღეს გაემგზავრა ვარშავისაკენა ⁄ თანვე წაიყვანა სახლის პატრონი ოგინსკი, რომელსაცა არ დასცალდა დაწერილებით შეეტყო ელჟაბეტას ლაპარაკი კორონლთანა.

კორონლი ⁄ გეთმანი ჯერ კიდევ გამოცილებულები არ იყვნენ სოფლიდგანა, როგორც იმათ პირ ⁄ პირ ბილიკის გზაზედა გააქანეს ვარშავისაკენ მშვენიერი კოლიასკა, რომელშიაცა იჯდა მშვენიერი ელჟაბეტა. კალიასკას მოაცილებდნენ სამნი ეზაზნი ⁄ ღენერალი

კონარქესკი, რომელიც იყო ყოველის გულის სურვილის აღმსრულებელი ჰილშის კოროლის ჰონიატოვსკისა. თუმცა მართალია ოგინსკი იჯდა კარეტაშია კოროლთანა, მაგრამ მწუსარებისაგან აღარა გაეგებოდა რა ⁊ ან რაღას გააწყობდა რომ თვალით დაინახა, როგორც მიაფრენდნენ იმის საუკარელსა. ან როგორ წარმოიდგენდა, რომ კოროლმა უნდა წაართვას ამას ნუგეში. კოროლი მშვენიერი თვალტანადი, ჭკვიანი, განვითარებული ტროფობაში, რაღა ოქმა უნდა რომ გადარეკდა ჯერ გამოუცდელსა უმანკო ქალის გულსა, რომელსაცა მეტად შეაუკარა თავი, იმისმა სიმდაბლემა, სასაბლეში ცხოვრებამ, აგრეთვე იმედმა, რომ ოდესმე უნდა შექმნილიყო კაროლევათა. ეჭლაბეტას მალე დავიწყეს ჰირველი თავის მწყალობელი გეთმანი ოგინსკი, მაგრამ დიდად შემცდარი იყო ქალი კოროლის ტუვილის იმედითა ⁊ რომ წარმოიდგენდა ის უნდა გაუბედურდეს, მაშინ თავს ზარი დაეცემოდა.

ოგინსკი დიდათა სწუხდა კოროლის უკანონო ქცევაზედ, იმის ღალატობაზედ, მეტადრე მეგობრისაგან, ჯავრისაგან აღარა ჭქონდა მოსვენება, სისხლის მტრათ გადაეკიდა ⁊ მოუთმენლივ მიელოდა მაგიერის გადახდასა, კოროლი თავის მხრით ამით ცდილობდა კიდევ

დალოებოდა მწარედ გაგიჟებულს ოგინსკისა. იმ დროში იყო შემდგარი კონფერენციის საზოგადოება რომელსაცა ჰქონდა დასაღუპავი დიდი ძალი როგორ, კორროლზედ, ისე თჳთ ჰოლშაზედაც ოგინსკიც მიემხცრო იმ საზოგადოებასა, რომელთაცა დიდად შეაწუხეს კორროლი, ეს უკანასკნელი დარწმუნებული იყო ოგინსკი სამაგიეროს გადუხდიდა.

რამდენიმე ჟამი ელჟაბეტა იმყოფებოდა კორროლთან სისახლეში, სადაცა იმედი დაეკარგა რომ უნდა გამხდარიყო კარროლევათა, რადგანც კორროლი იშვიათადღა შევიდოდა იმის ოთახში, ელჟაბეტამ მაშინ გაახილა თვალები ჯ დაინახა რომ დიდად მოტყუვდა, მაგრამ რაღას უშველიდა. კარროლმა, გაგრილებულმა ელჟაბეტას სურვილისაგან, აღარ ინება იმისი შენახვა სასახლეშია, მაშინ დაიბარა ერთი ჰოლშის აზნაურიშვილი რომელიცა იყო გვარად კარროლი ჯ იმაზედ ჯვარი დასწერა, ამ სახით დაითხოვა სასახლიდამ, თითქოს აღასრულაო თავისი აღთქმა, სიტყვის მიცემა ჯ კარროლევათ გახადა. საცოდავი ქალი ამ სახით გაუბედურა ჯ შეარცხვინა, რომელმაცა შესწირა კორროლს თავისი უმანკოება. ერთს საღამოს ჟამსა კორროლი, დაფიქრებული იჯდა თავის სენაკშია, იმ დროს მიართვეს

დაბეჭდილი წიგნი, სახელროთ რა გასსნა, წაიკითხა:

თქუენნო დიდებულებავ!

«ცაში ღმერთი ჯ ქუეყანაზედ ჴელმწიფე, ეს ორნი სართ ჩუენნი მოსამართლენი. შენა ბძანდები ჩუენნი ქვეყნიერი მეფე, ჩუენცა ვართ შენი მორჩილი მწყემსნი? შენგან მოველით მეოხებასა, სამართალსა, ნუგეშსა, მაგრამ შენ კი ჩუენ გვტანჯავ ჯ აგრცელებ ჩუენნში ბოროტებასა, შენა სარ ჩუენნი მსაჯული, შენი ვალი უნდა იყოს, თუ რა უზენაესი მეფე ცისა ჯ ქვეყნისა, რომელსაცა რა ჰასუხს აძლევ შენს უსამართლოებაზედ? შენ გვაჩვენებ ცოდჟს გზასა, ეგ არის მეფის სვინიდისი ჯ მართლმსაჯულება? მე ვიუავ შენი უქვეშევრდომილესი მორჩილი მონა, ახლა რაღა უნდა ვიყო? რას ემართლებოდი იმ საბრალო უმანკო ქალსა, რომელმაცა თავი შემოგწირა ჯ შენკი შეარცხვინე საქვეყნოდ, განა წესია ჴელმწიფემ სად რა მოიწონოს, მოიგალოსასე გგონია მეფე რომ ბძანდები, ვერავინ მოგკითხავს შენს უსამართლოებასა? ღმერთი! აღსრულდება სამღრთო წერილის სიტყვა« რომლითა მიუწყოთ, მოგეწყოთ თქუენ!» ამ წიგნს გამოვაცხადებ საქვეყნოდ ჯ გარდავცემ შვილის შვილთა. დაედსენ იმათ განსა-

წარედგე საშინელს საძსჯაროშია ⁊ რითუნდა ვიმართ-
ლო თავი? მე არა ვარ მამაოლირსი, თქუენის ლოცვა
კურთხევისა, მაგრამ ვევედრები ⁊ თაუვანსა ვცემ ღმე-
რთსა, შევინანიებ ჩემს შეცოდებასა,—თქვენცა მამაო-
გთხოვ შუამავლობას წინაშე უხილავის ⁊ მრავალ მოწ-
ყალისა. ამ ლაპარაკის შემდეგ რა შესუსტდა, გაჩუმდა.
მოძღვარმა შენიშნა ცრემლები თვალებზედ, რომელსაცა
იმ დროს თითქოს ნათელი დაადგაო, ისე უბრწყინა-
ვდა სახე. ცოტა ხანს შემდგომს კიდევა თქუა. მამაო,
მე ობოლი ვარ, უდედმამო, მრჩება ერთი მხოლოდ
შვილი, უმანკო კრავი, იქნება იმან ოდესმე მიკურთხე-
ბილოს საფლავი, ის მიკითხავს დედასა, ⁊ ჩემს ხმას
ვერსად გაიგონებს! მომაკუდავმა თვალები ჭერში გაა-
ტერა, რა დაუჭირა ველი მოძღვარსა,—მაკურთხე . . . .
შენდობა მიბძანეთ ვეუდები . . . ძლივსღა წამოიღუღ-
ლუდა ⁊ განუტევა სული. მოძღვარმა გულს ველები
დაუკრიფა, შენდობა უთხრა ⁊ გამოვიდა.

როდისაც გეთმანმა ოგინსკიმ შეიტყო იმისი სიკეთილი, დიდად შეწუხდა, ეს იყო მაშინ როდესაც დამარხეს კიდეც. ის მაშინვე მოვიდა თავის სოფლიდამ, საფლავი აკურთხებინა ⁄ ზედ ააშენებინა ძეგლი, რომელზედაც დააწერინა: «აქა განისვენებს, საბრალო უმანკო მსხვერპლი, წარმკითხველნო შენდობა მიბძანეთ!..

მიხეილ ჩიგვანი.

დიდ კაცს.

ჩემო ძმობილო! ნუ ითაკილებ,
დიდ კაცს საწყალი რომ ძმად გიწოდებ,
მეც სული მიდგა, შენებრ კაცი ვარ,
დიდის კაცობით თავს ნუ იწონებ.
კარაკეთ დაფიქრდი, ისე მითხარი,
ხომ წაგიკითხავს მაცხოვრის მცნება,
კაცის წოდება რაც რომე არის,
ან რაც მასთან გაქუს შენ კავშირება!
გუშინ როს იყავ დამდაბლებული,
ყველასთან იყავ შენ მორჩილებით,
დღეს რომ შეიქენ განდიდებული,
რადა ხარ ხავსე ამპარტავნებით.
იფიქრე ის რომ შენებრივ სხვასაც,
უნდა შენ გვარად მარად ცხორება,
მიკვირს თუ როგორ გძინავს. ისვენებ,
რომ ძმა შიმშილით თვალ წინ გიკვდება.
გული ხარისხით მრთლად აგივსია,
იეურები გარს თითქოსო ახე,

ამა ქვეუნად სხუა არ გაჩენილა,
დამჯერდი, არხარ მეტი არ ვისზე.
«ისე განაგებს შენზედ ბუნება,
ისე მოხვდები წუთ სოფლის ცელსა,
ჲ ისე სული შენ აგმოხდება,
როგორც შენს მსახურს უკანასკნელსა.»
ჩემო მმობილო! დიდი კაცი ხარ,
მაგრამ დღეს რომ მაგ ადგილზედ ზიხარ,
ნეტა რას ფიქრობ შენებრ კაცთათჳს,
ნეტა, მითხარი, მმას რას არგიხარ?
ქვრივი, ობოლი, ოხერ, ტიალი,
შენი ნაკვეთი, სულ შენი მმები,
ზოგი რასა გთხოვს ჲ ზოგი რასა,
არა თუ შველი, არ ეკარაბი.
სიღარიბისგან მრთლად დაცემული,
ოდეს მოგმართავს, ვით თავის მსხნელსა,
შენ საწუალთათჳს, არ გტკივა გული,
ჲ ნაცვლად შველის შენა ჭკრავ ხელსა.
ჯამა, სმა, ლხინი, მარად შექცევა,
სიამოვნებად გადაიქცევია,
ჲ ლუკმა ჰური ვის ენატრება,
მოიგონე რომ ის მმა შენია.

როგორ უეურებ აგრე გულ გრილად,
მწუხარებით ძმა რომ წინ გიკვდება;
ეს მოქმედება, ჩემო ძმობილო,
იცოდე, ერთხელ მოგეკითხება!

ი. კერესელიძე.

1874 წელსა
მარტის 18.
ტფილისს,

ქუჩენიერებაზედ.

ცისკრის მეორე ნომერში ვსთქვით, რომ ჩუჩნი დედამიწა არის პლანეტი, ესე იგი, ეს არის ბნელი სხეული, რომელსაცა ეძლევა სინათლე მზისაგან; თუ რომ ჩუჩნი დედა-მიწა ანათებს სხუა პლანეტებს, ეს ამასა ნიშნავს რომ, მზე ანათებს ჩუჩნს ქვეყანასა ⁄ ჩუჩნი ქვეყანა განათებული მზის სხივებისაგან, აძლევს სინათლეს, ანუ უნათებს სხუა პლანეტებსა, იმ სასითვე, როგორც მთვარე ღამით ანათებს ჩუჩნს ქვეყანასა. ჩუჩნი ქუჩეანა უფრო მეტად უნათებს მთვარესა, რადგანც სხუა პლანეტებზედ მთვარე უფრო ახლო არის ჩუჩნზედ.

როგორც სხუა პლანეტები, ისე ჩუჩნი ქვეყანაც მრგვალი არის. რომ ერთიან პლანეტები მრგვალნი არიან, ეს მტკიცდება ამით რომ რომელის მხრითგანაც უნდა შევხედოთ მრგვლად გვეჩვენებიან; რომ ჩუჩნი ქვეყანაც მრგვალი არის, ეს დამტკიცებულია მრავალთ ასტრონომთაგან, რომელთაცა მრავალჯერ მო-

ვლილი აქუსთ ეს ქვეყანა.

როქელს ალაგზედაც, ანუ როქელს ქუჩანაშიაც უნდა წავიდეთ ⁄ დავდგეთ, რომ შეეხედოთ ცას, გვეჩვენება, თითქოს მრგვლად გადაკრული გვაქუს თავზედაო ⁄ თითქოს იმ ცის ნაპირები, დაშვებულნი ოთხკუთხივ, რაზედმე არიან დაქვიდრებულნიო; იმ ცის ნაპირებს, როქელიცა ოთხივე კუთხივად გადაქანებულნი არიან ⁄ იმის იქით ჩუჩნ ვეღარასა ვხედავთ, ჩქვიან გორიზონტი. ამ გორიზონტზედ საღამოთი რომ მზე დაეშვება, იმალება; ეს არის დასავლეთის მხარე. მეორე დილით, მეორეს მხრითგან მზე ამოდის ⁄ ისევე გვეჩვენება, ამ მხარესა ჩქვიან ალმოსავლეთი. შორს რომ შენობა იყოს რამე, იდგეთ როქელსამე მინდორზედ ⁄ იმ შენობას შორითგან უეურებდეთ, ასე გვეგონება ⁄ გვეჩვენება, თითქოს ცის ბოლო, ანუ ზორიზონტი იმ შენობაზედ დაშვებული არისო, მაგრამ იმ შენობასთან ახლო რომ მივიდეთ, ვნახავთ რომ ეს გორიზონტი იქიდანაც შორს არის ⁄ იქიდანაც გვეჩვენება თითქოს იქით მხრისკენ დაშვებულია ⁄ იქ არის იმისი ბოლოეო. აქედან გამოდის აი რა:

1, რამდენსაც ადგილს ვიცვლით, იმდენი გორიზონტის მდგომარეობაც იცვლება, ან კიდეე უფრო გა-

მორკვევით ჯ ცხადაია ვთქვათ, ოვველს ადგილს თავისი გორიზონტი აქუს. ამ გვარი მოვლინება მხოლოდ მოხვდება იმ სხეულზედ, რომელიცა არის მრგვალი.

ერთს ალაგს რომ ვიცვლით ჯ მივდივართ სადმე, ეს ადგილი თვალითგან მიეფარება ჯ მეორე ადგილსა ვხედავთ, ეს ამისთჳს რომ ჩუენი დედამიწა მრგვალი არის ჯ გადაქანებული. რასაკვირველია დედამიწის სიმრგვლეს თვალით ვერა ვხედავთ, მაგრამ ეს კი ასე არის ჯ მრავალი მეცნიერთაგან დამტკიცებულია.

რომელს ალაგსაც უნდა დავდგეთ, ფეხები მიქცეული გვაქუს ჩუენს დედა მიწისაკენ ჯ თავი ცისაკენ, რადგანც ქუეყანა ტრიალებს, ღამით თავ ჯ ეირა ვდგევართ,—რასაკვირველია ვინც არ იცის გაიკვირვებს, რომ დედამიწას არა ვსხლტებით ჯ უფრსკულში არ ჩავარდებით, მაგრამ ჩუენს დედამიწას ისეთი ანდამატური ღირსება აქუს, რომ არა სხეულს თავისაგან არ იშორებს ისე იზიდავს თავისკენ. ჩუენ რომ ვდგევართ, ჩუენს ჳირდაპირ, ქვეყნის მეორე ზურგზედ კაცნი ფეხებით ჩუენკენ არიან მოქცეულნი, იმ ძეორე ქვეყნინს ზურგზედ მცხოვრებთ ეწოდებათ ანტიპადები.

როდესაც მსწავლულთ ასტრონომებს უნდა გამოეკვლიათ თუ რა სახისა იყო ჩუჩნი ქვეყანა, გამგზავრდნენ ორის გემით, ერთი გემი წავიდა აღმოსავლეთისაკენ, მეორე დასავლეთისაკენ, რომ ჩუჩნი ქვეყანა მრგვალი არა ეოფილიეო. ეს გემები თავის დღეში ერთად არ შაიერებოდნენ, მაგრამ რამდენიმე ხნის განმავლობის შემდეგს ეს გემები ერთად შაიყარნენ, ბ ერთის გემის ასტრონომები შეეყარნენ მეორე გემის ასტრონომებსა, აი ამითი დაამტკიცეს რომ ჩუჩნი ქვეყანა არის მრგვალი. მაშ რადგანც ჩუჩნი ქვეყანა მრგვალი ეოფილა, უნდა იდგეს რაზედმე? არა, ეს ასე არ არის; თუმცა მრგვალია, მაგრამ ის არაფერზედ არა დგას; ქუჩუანატრიალებს ჰაერში, იმავე ძალით, რა ძალითაც ტრიალებენ ბ იმკრიან მთვარე ბ სხუა პლანეტები, აგრეთვე მზე, ერთის სიტუვით მრთელი ხილული ბ უხილავი ქუჩუნიერება. მაშ მგელი ხალხი, რომ ანბობდა ქუჩუანა გგელაშაპზედა დგასო, დიდი სიცრუე ეოფილა ბ არის.

როგორც ზემოთა ვთქვით, საიდანაც მზე ამოდის. ჭქვიან აღმოსავლეთი, საითკენაც ჩადის დასავლეთი; ისე რომ დავდგეთ, ჰირი აღმოსავლეთისაკენა ვქნათ, მაშინ მარცხენა მხარე იქნება ჩრდილოეთი ბ მარჯ-

ვენა მხარე სამხრეთი. გამოცდილებით ვხედავთ რომ ძრთელი წლის განმავლობაში, ხან მზე ჩრდილოეთისკენ იწევს ⸗ ისე ჩადის დასავლეთისაკენ ⸗ ხან სამხრეთისაკენ; ეს წარმოსდგება იმისგან, რომ ჩუჩნი ქვეყანა ტრიალში იცვლის თავის ადგილს ⸗ მზე ასე ამისათვის გვეჩვენება, ეს არის მიზეზი რომ წარმოდგება ზაფხული ⸗ ზამთარი. შუა დღის დროს როდესაც მზე დგას ცაზედ ზედ შუა ალაგს, აქედან რომ ხაზი გავავლოთ სწორეთ ჩრდილოეთის მხრივ ⸗ სამხრეთის მხრივ, ამ ხაზსა ჰქვიან მერიდიანი.

რადგანც ვიცით, აღმოსავლეთი რომელია. დასავლეთი, სამხრეთი ⸗ ჩრდილოეთი, ამისათჳს შეიძლება ვიცოდეთ, რომლის მხრისაკენ მივალს ხოლმე მზე, ესე იგი, რომლით მხრითგან ტრიალებს ქვეყანა. ვიცით რომ, მზე ოგას ერთს ალაგსა, თუმცა გვეჩვენება თითქოს დადის აღმოსავლეთითგან დასავლეთისაკენ; მაგრამ, რადგანც ჩუჩნი ქვეყანა ტრიალებს დასავლეთითგან აღმოსავლეთისაკენ, ამისათჳს მზე ასე გვეჩვენება.

რადგანც ქვეყანა მრგვალი არის, ამისათჳს მზე ღისცემს სინათლესა, მხოლოდ ცალ გვერდს, მეორე ⸗ გვერდზედ მაშინ ბნელა; ნახევარ ქვეყნის ზურგზედ რომ

ღამე არის, მეორე ნახევარ ქვეყნის ზურგზედ დღეა; როდესაც იქ ღამეა, აქეთ მხარეზედ დღეა. ის წრე, რომელს წრეზედაც დადის მზე, იმ წრესა ქვიან ეკლიპტიკა.

რადგანც დედა-მიწა მრგვალი არის, რომ უკეთესად მიხვდეს მოსწავლე, გაუკეთებიათ ხელოვნებითი ქალალდის მრგვალი ქვეყანა, რომელზედაც დახატულებია სხუა და სხუა ქვეყნები, ზღვები და ოკეანები, ამ შარსა ჰქვიან გლობუსი, რასაკვირველია გლობუსზედ დახატული ქვეყნები იმდენით ჰატარა იქნება ნამდვილს ქვეყანაზედ, რამდენათაც გლობუსი ჰატარაა. რომ შევიტყოთ რამდენჯერ ჰატარა არის გლობუსი ქვეყანაზედ, უნდა ვიცოდეთ რაოდენობა თჯთან გლობუსისა. ავიღოთ მაგალითად შარი, რომელსაცა აქუს დიამეტრი ერთი ადლი. ახლა რომ შევიტყოთ, თუ რამდენჯერ ჰატარა არის გლობუსი ქვეყანაზედ, უნდა ვიცოდეთ ჯერ ჰირველად, თჯთან ქვეყანა რომელზედაცა ჩუენა ვცხოვრებთ, რამოდენაა? მსწავლულთ როგორც შეუტყვიათ ჩუენის ქვეყნის სიდიდე ამაზედ მერმეთ მოვიღაპარაკებთ. ჩუენს ქვეყანასა აქუს სიმგრგვლე ცხრამეტი მილიონი მაშ ცხრამეტ მილიონჯერ ჰატარა ეოფილა გლობუსი ქვეყანაზედ.

მთვარე, როგორც ზემოთაცა ვთქვით, უველა პლა-
ნეტზედ ჩუენზედ ახლო არის, მაშ ის უფრო კარგათ
შესწავლილი ჰ გამოკვლეული გვაქუს, რომ ვუეურებთ
მთვარეს, ასე გვგონია უველა პლანეტებზედ ის დიდი
იყოს, მაგრამ მთვარე ჩუენ ქვეყანაზედ ორმოც ჰ ათ
ჯერ პატარა არის. მთვარე თითქოს იმოდენა არისო,
რამოდენაც არის მზე, ისე გვეჩვენება, მაგრამ მზე მთ-
ვარეზედ მილიონ ნახევარჯელ დიდია. მთვარე ჩუენს
ქვეყანაზედ მოშორებით არის ორმოც ჰ ათი ათას მი-
ლზედ, ერთი მილი შვიდი ვერსია) რადგანც ასე ახ-
ლო არის ჩუენზედ მთვარე სსუა პლანეტებზედ, ამი-
სათვის ტელესკოპების საშუალობით მსწავლულთა უკეთ
შეისწავლეს მთვარის გარემოება ჰ ის ჩამქრალებული
გამოხატულება, რომელსაცა ვხედავთ მთვარეში, რომე-
ლსაცა ჩუენ უველანი ვხედავთ სადა თვალებითა ჰ
რომელიცა გვეჩვენება, თითქოს ადამიანის ცხვირ პირი
არისო, არის ჰ არიან მაღალნი მთანი, მთვარეზედ
სრულებით არ არის არცა წყალი ჰ არცა ჰაერი; ამი-
სათჯს იქ არ შეუძლიან იცხოვრონ იმ გვარ სულიე-
რებას, რომელ გვარსაცა სცხოვრებენ ჩუენის დედამი-
წის ზურგზედ. მრთელი მთვარე შედგენილი არის მხო-
ლოდ მინერალურის ნივთიერებისაგან.

მთვარე უვლის ჩუენს ქვეყანასა, როგორც ჩუენ ველანი ვხედავთ სადა თვალითა, ოც ჯ რვა დღის განმავლობაში, ამ დროს განმავლობაში ჩუენის ქვეყნისაკენ აქუს ერთი ჯ იგივე მხარე მოქცეული, ამისათჳს რომ მთვარე ტრიალებს თავის ღერძზედ, (ამ ღერძს გამოვიხატავთ გონებითად) მხოლოდ ამ დროს განმავლობაში, ჩუენის ქვეყნის გარეშემო. მთვარის ის ერთი მხარეც ეოველთჳს არ გვეჩვენება სრულად. როდესაც ჩუენკენ მთვარის ბნელი მხარე მოქცეული არის, მაშინ ვიტყვით ახალი მთვარე არისო; ამის შემდგომს მთვარე ცოტ ცოტათ ჩნდება; ეს ამისათჳს რომ მზის სხივი როდესაც ხვდება ის მთვარის მხარე გვეჩვენება ზოგჯერ მთვარე დასდგება ხოლმე მზისა ჯ ქუჩენის შუა; მაშინ მთვარეს სრულებით ვერა ვხედავთ ჯ მზის შუქს ეს შავი ნივთიერება სრულებითა ჭეარავს, ამ დროს ვიტყვით მზე დაბნელდებაო. ამ დროს არა თუ კაცნი, მცხოვრებნი დედა-მიწაზედ მიაქცევენ ეურადღებასა, ჰირუტუნიც კი ივშიშვიან ჯ გრძნობენ რაღასაცა. აი, ესეც გვიმტკიცებს ჩუენის ქვეყნის, მზის ჯ მთვარის სიმრგვალესა. მთვარის სიარულის გზა კარგათა აქუსთ გამოკვლეული ვარსკვლავთ მრიცხველებს ჯ ამისათჳს ადვილათ შეუძლიანთ შეიტყონ ჰირველადვე, თუ

როდის უნდა დაბნელდეს მთვარე ანუ მზე.

იმ უძრავ ვარსკვლავებზედ, რომელნიცა არიან მიუწდომელს ცის უფსკრულში, ახლოს არის ჩუენზედ მზე, ამისათჳს სხუა ვარსკვლავებზედ დიდად ეფეჩვენება, უფრო ბრწყინვალედ გვინათებს, ⁄ უფრო გვათბობს. ჩუენის ქვეყნისათჳს ჰირველი ნათლის მომცემი არის მზე, რომელიცა აცცხლებს კაცსა ⁄ მცენარეესა.

რაში მდგომარეობს ის მზის თჳსება, რომელიცა საჭირო არის კაცის სიცოცხლისათჳს ⁄ იძლევა სიტფოს, აქამდინ ვერა ვის შეუტყვია.

ბნელის მინებით ბეგრჯელ კაცთა ეურადღებით უსინჯავთ მზე ⁄ შეუნიშნავთ რომ ამ ბრწყინვალე სხეულში არიან რამდენსამე ადგილს შავი ადგილები, აქედან გამოიუვანეს, რომ ვითომ მზე არის შავი სხეული, ხოლო მნათობს ⁄ ათბობს იმის გარშემო შემოხვეული მანათობელი კანი, რომელიცა ზოგი ერთს ალაგს თითქოს დაგლეჯილია ⁄ ამ დაგლეჯილებს შუა გამოსჩანს შავი რაღაცა ნივთიერება. ეს ბზის შავი ადგილები ყოველთჳს არა სჩანან.

მზე არის ჩუენთჳს განუკრობელი წყარო სინათლისა ⁄ სიტფოსი, რომელთაცა მოუღალავად უგზავნის

ზამთარ ზაფხულს ჩუჩნს ქვეყანასა. თუ რომ ჩუჩნ
გვეჩვენება რომ ზამთარით სუსტათ გვათბობს მზე ⁄ ⁄
ზაფხულით ძრიელ, ეს ამისათჳს რომ ჩუჩნი ქვეყანა
სან შორდება მზეს ⁄ ⁄ სან უახლოვდებე. მზე ჩუჩნ
ქვეყანაზედ ⁄ ⁄ დიდია თხუთმეტ მილიონჯერ, ჩუჩნგან
მოშორებით არიხ ას ორმოცდ ⁄ ⁄ ათ მილიონ ვერსზედ.
ამ ჩუჩნგან აწერილ ⁄ ⁄ ⁄

ნასუხი.

შარშანდელს აქეთ, ეს მეორე წელიწადია გამოდის რუსულს ენაზედ გაზეთი »Вѣстникъ» მოანბე, ერთი ვიღაცა ბებუთოვისაგან, რომლის გვარი ჩუენს საქართველოში თუმცა ყველას გაგონებული აქუს, როგორც ძესანიშვაი დიდი გვარი, მაგრამ ჩუენ, ჯერ ცნობა არა გვაქუს იმასთან, არცა ლიტერატურის მხრივ, რადგანც ჯერ იმისი არა წაგვიკითხავს რა ღირს შესანიშნავი ტ არცა სხუა მხრივ, რომელსაცა ვუწოდებთ ჭირად ცნობას. ეს გაზეთი, როგორც ვხედავთ ყველანი, ვისაც კი გეგ'ძის რუსული ენა, სულ ქვეშ უნდა ვსთქუათ კარგი გაზეთია, მაგრამ ამასა ვწუხვართ; თავის ოხუჯურ ანუ ირონიურის მოქმედებით, ისეთ სიმართლეზედ შეიქნება წინააღმდეგი, რომ თითქოს რადცა სიშურის ნიშანი გამომეტუველებს ამ გაზეთის მოქმედებისაგანა. ჩუენ წავიკითხეთ, ჯუშარიტათ აღარც კი გვახსოვს რომელს ნომერში, ამ ცოტას სნის წინ, სადაცა დაბეჭდილი იყო ნაოარგმნი სტატია ი. კერესე-

ლიმისა, ტფილისის გიმნაზიაზედ, ჯ შესავალის ნაცვლად, ერთ ვიღასაცა გაეკეთებინა შენიშვნა, რომლითგან ცხადად გამომეტყველებდა, რომ ქელიოვსკის ლიმნაზიაზე სიბეჯითე ჯ იმისი სასარგებლო მოქმედება, თითქმის დიდათა შურსო. ოხუჯობით კი იყო გამოთქმული ეს შენიშვნა; მაინც ოხუჯობას უჯირავს თითქმის ყოველთჯს ფელეტონის ადგილი. იმ უფალს ავტორს, უნდა დაეწერა ამ გვარი შენიშვნა ჯ დაეცინა თვრამეტის წლის ჟურნალისტის კერესელიმისათჯს, როდესაც ეს იმათი გაზეთი, «მოანბე» . თვრამეტ წელიწადს იღოღიალებდა ჯ ამ თვრამეტის წლის ღოღიალებაში სული არ ამოსვლოდა. საქმე დაცინვა კი არ არის, საქმე ის არის კაცი სვინდისიანათ დააკვირდეს, თავის თანამოძმის მოქმედებასა. მერე იმ გვარ საქვეყნო საქმეში, რომელშიაც კერესელიმე ასე მოულალავად გართულია; ჯერ ჰირშვესლად ეს უნდა მოგახსენოთ უფალს შენიშვნის ავტორს, რომ კერესელიმის სტატია ლიმნაზიაზედ თქუენ ისე ვერ გითარგმნიათ, როგორც ნამდვილში იყო; ჩუენ დიდის ყურადღებით წაგვიკითხავს ის სტატია ჯ დიდი ყურადღებაც მიგვიცია. რაო? გული გაგიგმირა, თუ რათ აქებქე ლიხოვსკისაო, კერესელიმეს ქელიხოვსკი არ უქია,

იმან ილაპარაკა ღიმნაზიის გარეგან ᲓᲐ შინაგან ღირსებაზედ; იმან აგვიწერა ახალი, გადახალისებული გიმნაზია, მოგვაგონა ძველი ᲓᲐ ქელიხოვსკი გამოიყვანა მოქმედ ᲮᲘᲠᲐᲓ ამ განახლებაში. რაო? ტყვილია, აბა გულზედ ველი დაიკრიფე ᲓᲐ ᲭᲣᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲗ სთქვით, არაო? ეს ღიმნაზია თითქმის რაც დაწესებულა. ორმოცამდინ წელიწადია, ამდენის დროს განმავლობაში, მგონია ერთი თხუთმეტიცარი დირეკტორი გამოცვლილა; ვინ იფიქრა აბა ამ ღიმნაზიაზე; თუ ფულზედ ვიტყვით, ამას ფულების ღონის-ძიება ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲝ; ამაზე ძრიელ შევცდებით. რაც ფულის ღონის-ძიება ამასა ᲰᲥᲝᲜᲘᲐ, ესეთივე ღონის-ძიება ძველ დირეკტორებსაცა ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ; მაგრამ რა საჭიროა ან კი გარეგან ღიმნაზიის ღირსებაზედ ლაპარაკი; ᲩᲣᲥᲜ უნდა ვსთქვათ ᲰᲡᲬᲐᲕᲚᲐᲖᲔᲓ, თუ რა სწავლა ახლაა იქ.—ეს ძრიელ ადვილი მისახვედრია, თუ წავიკითხავთ ზოგი ერთ მოწაფეების თხზულებაებს ᲓᲐ თითქმის ლექსებსაც; აბა ახლა იმათი მუზიკა,—აბა ნახეთ იმათი ორკესტრი, თუ ᲩᲣᲥᲜ თატრის ორკესტრს არ შედრით. რატომ არ იყო ესენი ძველს გიმნაზიაში, სადაცა კარგათ გვახსოვს, ერთი ქართული ბაიათისათჳს, ჩემი ამხანაგი ორი დღე ცალკე ოთახში დამწყვდეული იჯდა; თუ

რათ შემოსძახე აქ ბაიათიო. მიბძანდი ახლა ჯ რომ-
ლის მხრის ჯ თემის სიმდერაცა გსურს, შემოსძახე,
ვინ დაგიშლის, არა თუ დაგიშლიან, მადლობასაც გე-
ტყვიან, მეტადრე ჩუენი გონიერი ემაწვილები, რომე-
ლნიცა სულით დაეძებენ შემთხვევას თუ რა შეიძინონ
ახალი. რამდენს ადგილს გვქონდა ამ ღიმნაზიაზე ბა-
ასი, რასაკვირველია ზოგნი წინააღმდეგს ლაპარაკობ-
დნენ ჯ ზოგნი არა. მაგრამ როდესაც დარწმუნდნენ
კარგა ხანი სჯის შემდგომს, ხმა გაიკმიდეს ჯ ერთბა-
მად სთქვეს, მართალიაო. ასე ჩემო ბატონო, კერე-
სელიძემ, როგორც თქვა თავის სტატიაში, კარგ მთქ-
მელს, კარგი გაძგონეც უნდაო, ეს ჯუმარიტული ან-
დაზა მოიტანა.

ადგეთელი.

კოსტანტია კონტარინი

მკითხველებს უანბოთერთს ანბავსრომელიცა მომხ
დარა იტალიაში ამ ახალს დროში, საიდამაცა სცნობ-
ენ იტალიის ხალხის თვისების ერთს მხარეს. ეს ან-
ბავი აი რაში მდგომარეობს: იყო ერთი გერმანიითგან
ნემეცი, რომელსაცა ერქვა არნგეიმი ⁄ რომელიცა ისე-
თის სანახაობისა იჩო, რომ ქალები გიჟდებოდნენ იმის
სილამაზისაგან. ის იყო მაღალის ტანის ემაწვილი
კაცი, ლამაზათ მოყვანილი, თეთრწითელი, ჭქონდა
ოქრომკედის მზგავსი თმები ⁄ მრტყელი შუბლი; მა-
გრამ, იმას თითქოს ეს თავისი სილამაზე არაფერად
მიაჩნდა, ის იქცეოდა ყველასთან გულგრილად ⁄ ეს
იმისი გულგრილი ქცევა, ქალებს ერთი ათად უნერკა-
ვდა სიჩუარულს. იმას კარგათ შეესწავლა არსიტეკ-
ტურა ⁄ ამისათჳს ეს საგანი ძრიელ უყვარდა; სადაც
დიდებულს შენობასა ნახავდა, დიდის სიამოვნებითა

სჩხრეკდა; უველანი ემეგდნენ იმის ცნობის შემთხვევასა, არ უკვარდა ქალალდის თამაშობა ჯ არცა მიმდევი იყო ხუდის ყოფაქცევისა. იმან მოიარა მრთელი იტალია, განვლო მრთელი საბერძნეთის კუნძულები ჯ ბოლოს ისევე მოიქცა იტალიის ქალაქში ვენეციაში; აქ დაიქირავა, ჰირველს მეიდანზედ, რომელსაცა ეწოდება წმინდა მარკოზის მეიდანი ერთი სუფთა სახლი ჯ დასახლდა ერთის თავის მხლებელის მოხუცებულის ლალით, რომელიცა მიაჩნდა არა თუ მსახურად, როგორცა სჩანდა, არამედ კარგ ერთგულ მეგობრად, რადგან წელის კიდე იმაზედ ახლო იყო, ამისათჳს იმას ყოველთჳს მზათა ჰქონდა ჰატარა ლოდკა გასასირებლად. ხშირად ჩაისვამდა ხოლმე ამ ლოდკაში, იქ მოფთ შესანიშნავ მსწავლულს კაცებს ჯ ხშირადა სჯამდა იმათთან ჰურსა, წმინდა მარკოზის მეიდნის ერთს გოსტინიცაში; მაგრამ ჰირველი იმისი შემაქცევარი ჯ საუკვარელი იყო ერთი მღვდელი, ორმოცის წლის კაცი მცოდნე აგრეთვე არხიტექტორობისა. ამ მღვდელმა გაიცნო არნგეიმი ამ ვოსტინიცაში ჯ შეუკვარდა ის.

ერთსელ საღამოზედ არნგეიმი დაბრუნდა შინ ერთის განშორებულის ალაგითგან, სადაცა იყო სასეიროთ, იმისი ნავი მოადგა კიდესა, რომლის ასლო

იყო დიდი სასახლე ბანდარინისა; როდესაც ის ეუბნებოდა მენავეს, მიმდგარიყო კიდეზედ სიბრთხილით, ამ დროს მოადგა იმავე კიდეს სხუანავი, რომელშიაცა ისხდნენ ორნი ქალნი, შეხვეულნი საწვიმრებში, ამათა ჭეკანდათ თანა მდიდრულის ტანისამოსით ჩაცმული არაბი მოსამსახურე; ორნივე ნავი ერთმანერთს ძრიელ შეეჯახნენ, ქალების ნავი გვერდზედ წაისარა ⁄ ამ დროს ერთი ქალი, რომელიცა იდგა ნავის ცხვირზედ გადმოსახტომად კიდეზედ, აჭირებდა რა წყალში ჩავარდნასა, არნგეიმი უცებ მიეშველა ⁄ ისე ბედნიერი იყო, რომ ჭაერშივე შეიკავა, სტაცა ხელი ⁄ უვნებლად გადმოსო წყლის ნაპირზედ. ქალი შიშისაგან კანკალებდა. არნგეიმს ჯერ კიდევ არ გაეშო ხელითგან, მინამ გულის კანკალს არ შეიმაგრებდა. ბოლოს, როდესაც გაუშო ხელითგან ქალს ჰირბადეა ეხადა არნგეიმა დაინახა მეტი მშვენიერი სახე ამ ქალისა, ვარდის ფერი ტუჩები, საიდამაც გამოინათებდნენ სადაფის მზგავსი მწყობი თეთრი კბილები; ამ ქალმა მადლობა გადაუხადა იტალიანურს ენაზედ. ახალგაზდა ნემეცს გონება დაეკარგა, რასაკვირველია ეშხისაგან; იმან მეტის ალევლებისაგან ამ ქალს ჰასუხი ვერა მიცცარა. იმ დროს ნავი მოდგა კიდეზედ ⁄ გადმოსტა მეორე

ქალიცა, რომელსაცა აგრეთვე ჰირბადე რა აეხადა, და-
ინახა არნგეიმა აგრეთვე მშვენიერი, ჰირველის ქალის
მგზავსი სახე. არნგეის მოედო უფრო ცეცხლი, უფრო
მაშინ, როდესაც ამ მეორე ქალმა ამავე ჰირველის ქა-
ლის მზგავსად ნაზის ხმით მადლობა განუცხადა. რო-
დესაც ეს ქალები წავიდნენ ⁄ გაჰყვა თან მოსამსახურე
არაბი, რა შეუდგნენ ბულვარს, არგეიმა დაუნახა ამ
ქალებს ოთხი ჰაწაწა ფეხები დამადნობელი მამაკაცისა.
ეს ორივე ქალები, თავიანთის ჰაწაწა ფეხებით ისე
მზგავსნი იყვნენ ერთმანერთისა, რომ ოც ნაბიჯზედ
იყვნენ იმისგან ⁄ არ იცოდა რომლის სიყვარული ჩაუ-
არდა გულში, ამისათჳს მეტი გზა არ იყო, ამ საბრა-
ლო ნემეცს შეუყვარდა ეს ოთხი ჰაწაწა ფეხები.

არნგეიმი თვალს ადევნებდა თუ საითკენ წავიდოდ-
ნენ ეს ქალები ⁄ დაინახა რომ ისინი შევიდნენ ერთს
დიდ სასახლეში. ეს ორივე ქალები, არ გაუვლია ბევრ
ხანს, რომ გამოვიდნენ ბალკონზედა. საღამოს გადახ-
რილი დასავლეთისაკენ მზე, საამოდ უნათებდა ამ ქა-
ლებს, უიმისოთვე ბრწყინვალე ჰირისასესა. იმათ თავი
დაუკრეს თავაზიანათ არგეიმ:ა ⁄ სასიამოვ-
ნოდ უქნევდნენ ხელსახოცებსა; ესეც თავის
მხრით ალესიანად თავს უკრავდა, მაგრამ არ გაუვლია

მოკლე დროს, ეს ქალები მაშინვე შებრუნდნენ შინ ⁄ დაიმალნენ. არნგეიმი იდგა ადგილობრივ, გაქვავებული ⁄ თითქმის ერთს ალაგას დალურსმული, იქამდისინ, მინამ მღვდელი, რომელმაცა გ მოიარა შეითხვევით, არ გამოაფხიზლებდა ღრმა ფიქრისაგან, ⁄ რომელიცა ჰქითხვდა, თუ რა მოსწონდა იმ სასახლისა არნგეიმსა, რომელსაცა ასე დაფიქრებით შეჰქურებდა. «საკვირველი არხიტექტურა არის» მიუგო არნგეიმა, რომელსაცა ეშინოდა არ შეეტეო ამ მღვდელს იქ დგომის მიზეზი. «ჩინებული ფასადია»—შიგნითი ფასადი უფრო უკეთესი არის რომ ნახო, მიუგო მღვდელმა. თუ გსურთ შეგიძლიანთ ნახოთ, მე დაგეხმარებით ამაში. «ნემეცხ სისხლი აუღელდა.—ღვდელო, ძალიან გესმის ხელოვნება, მერწმუნეთ ბედნიერნი ხართ, თქვენ უველგან კარი ღია გაქვსთ. «ეგ ჩემი წოდების ღირსება არის, მიუგო მღვდელმა, კარებს ვერავინ დაგვიკეტავს. მართლადაც ბევრს ხელოვნებას იპოვნით ამ სასახლეში, სადაცა უმუშავნია გამოჩენილს არხიტექტორს, ამასთანავე ნახავთ ისეთს მკელს მხატვრობასა, რომელიცა აღემატებიან ოველს თქვენგან ნახულს მხატვრობასა. ამას გარდა, ამ სასახლის პატრონს, ბეოილშიბილს ანდრია კანტარინის ჰქონიან სხვა შესანიშნავი

საოსმალური ხომალდი. ნაშოვნი, იმის მამაბაბისაგან ჯ ბეჭედი, რომლით დაინიშნა ზღვაზედ ჰირველი წინაბარი კონტარინისა. ეს ბეჭედი ისევეკი არ უბოუნიათ, როგორც იპოვნა ჰოლიკარნეემ თევზის მუცელში. მაგრამ ის ბეჭედი მოუტანეს ზღვის თევზის ფრთაზედ ნაქონი, რომელსაცა ინახავენ დღესაცა, როგორც წმინდა ნაწილსა. კანტარინის შვიდ წინაბარს დაჭქონდა მეფის მეწამული. ისე დიდი კაცები იყვნენ.

— მე ეგ საუნჯე, არც არა მშურს, მოუგო არნგეიმა ღიმილით.

— მაშ თუ ეს არა გშურს, განაგრძო მღვდელმა. ჭვავს კიდევ სხვა საუნჯე, რომელიკა არ შეიძლება უეურეს კაცმა არა მშვიდობის თვალით. ეს ისეთი საუნჯე არის, რომლის საძეოვის კარს კი არ დაგვიკეტენ, რა არის არავინა ნასოსო. ეს არის, იმისი ცოლი, ერთელს ვენეციაში, იმაზედ ლამაზი არავინ არის. ჩამოძავლობით არის, საბერძნეთის თავადის მვილისა ჯ ძრიელ ამბარტავანია.

— თქუენ იმას იცნობთ მამაო? განა თქუენთანაც ამბარტავანია? ჭკითხა არნგეიმმა.

— ვიცნობ, წამოთქვა მღდელმა. მე ძრიელ ახლო მცნობი ვარ კანტარინის სახლისა, მაგრამ სხუა და-

მოკიდებულება აქუს ამ ამჰარტავნებასა . . . . ერთის სიტყვით საყვარელო მეგობარო, ამჰარტავნება ამაოება არის, მაშასადამე აქ იპოვება სუსტი მხარე, რომლით შეიძლება ისარგებლო.

— იქნება თქუენ ამჰარტავნებას უწოდებთ, ქალის გრძნობასა, თავის ღირსების შესახებ?

— განსხვავება მხოლოდ ამაში არის, რომ ამჰარტავნებას სხუა წოდება ჰ სხუა ნიშანი აქუს. სთქუა მღვდელმა ჰ შესცვალა საუბარის კილო. როდისა გსურთ გასინჯოთ ეს სასახლე?

იმათ დასდეს ჰირობა, მეორეს დღეს შეურილიუვნენ გოსტინიცაში ჰ იქითგან ერთად წასულიუვნენ კანტარინის სასახლის სანახავათა.

არნგეიმი მოვიდა გოსტინიცაში დანიშნულს დროზ ჰ უფრო ადრე. ჰ მოელოდა მოუთმენლივ, მღვდელს, რომელიცა, რო მოვიდა, ორნივენი გაემართნენ. როდესაც შევიდნენ დიდებულს სფეტებიან კიბის წინა ოთახში ჰ ავიდნენ მარმარილოს კიბეზედ, დაუხვდათ გრძელი, გალლერეია, ორივე მხარეს ჩამწკრიებულის სტატუებითა, ჰ ყვავილებითა; არნგეიმს სიყვარულის გარდა ყველა დაავიწყდა, ისე მოეწონა შესავალის ხელოვნება. ამ გალლერეის ბოლოს, გაუღეს კარები ჰ

დაუხვდათ დიდი ოთახი, რომელიცა იყო ძვირფასად გაწყობილი. მრთელი სასახლის მოსამსახურენი მოეგებოდნენ მღვდელს ალერსით, ტ ღიმილით, როგორც სახლის მეგობარსა. არნგეიმი ჭკვირობდა იმ სასახლის არხიტექტურასა ტ იმის ხელოვნებით მორთულობასა. როდესაც შევლეს რამდენიმე ძვირფასად დართული ოთახები, გადახედეს მზის მხრივ ფანჯრითგან, სხუა შენობასა.

— იქ უფალის კანტარინის სადგომი ოთახებია, უთხრა არნგეიმს მღვდელმა, იმ ოთახების პატრონი ახლა რომშია წასული, საკელმწიფო საქმეების გამო.

არგეიმი დააცქერდა ერთი ოთახის კარებსა, რომლის იქით იყო სამეოფი მიუკარებელის ღმერთასი; უცებ ეს კარები გაიღო ტ გამოვიდა არაბი მოსამსახურე, თვით ის არაბი, რომელიცა მიზდევდა ქალებს ნავითგან რომ გადმოვიდნენ. როდესაც მოვიდა მღვდელთან, უთხრა, რომ ქალბატონმა შეიტყო თქვენი მოსვლა ტ გთხოვთ ერთს წუთს შემობძანდეთო; თავის ქმრის წიგნი მოვიდაო. არგეიმი დარჩა მარტო ტ სიშურით უყურებდა მღვდელსა, როდესაც შედიოდა ღმერთას განსასვენებელს სამეოფელოში, ის ოთახი, სადაცა არნგეიმი ელოდა მღვდელსა, იყო დიდი, მორ-

თული ჩინებულად ᲯᲐ გადაჭეურებდა მეორეს ბალკონის მხრით წყალსა. ის გავიდა ბალკონზედ, საიდამაც დაინახა თავისი მცნობი ნავი, რომელსაცა ეხვეოდნენ მდიდრად ჩაცმულნი კანტერინს მოსამსახურეები. არ გაუვლია დიდ ხანს, ამ სასახლის მეორეს მხრის კარებითგან გავიდნენ ორნი ქალნი, საწვიმრებში გახვეულები, რა მივიდნენ ნავთ საუდელთან ᲯᲐ ჩასხდნენ, შემოხედეს ბალკონს, ჰიაშალიანებმა თავი დაუკრეს არნგეიმს ᲯᲐ გაემართნენ; ამან რასაკვირველია აგრეთვე თავი დაუკრა, მაგრამ იმათმა შემოხედვამ არნგეიმ ისე დაკოდა, როგორც ბასრმა ხანჯალმა. ის იდგა გაშტერებული ᲯᲐ გამოფხიზლდა მაშინ, როდესაც მღვდელმა დაჭერა ხელი მხარზედ; ის იცინოდა ᲯᲐ ჭკითხავდა თუ ასე გაშტერებით რას უყურებდა წყალსა.

— რისთვის არ მითხარით, ემაწვილო, რომ გუშინ მიგსვლიათ ის ჩინებული შემთხვევა? ჭკითხა მღვდელმა.

არგეიმა მიუგო, რომ ისე მსწრაფილი იყო ის შემთხვევა, რომ სრულებით აღარ ცკი მომგონებიაო.

— ეგ უბრალოთ, სთქუა მღვდელმა, ეგ არა მჯერა. უველა კმაყოფილებას, სიამოვნებისაგან მიცემულსა აქუს ერთებითი არსებობა. დიდი ხნის სიამოვნება ქუცნაზედ არ მოიტანებდა, ამისათვის რომ ჩქარა ბეზრდებაᲯᲐ იდალება

კაცი, რაკი სანგრძლივ გაჭვეშა. მაბასადამე, არ უნდა გვეშულდეს სწრაფლად მიმავალი კმაყოფილება; იქიდან შესდგება ბედნიერება . . . მაგრამ წავიდეთ ახლაკი. ამ სასახლის ლედოფალსა სურს, ამ სასახლის შინაარსი ეველა გასინჯოთ ⁂ ამისათვის წავიდა სასეირნოთა, რამწავს შემოველით სასახლეში, ერთგულ მსახურმა ეცნობებინა ჩუენი მოსვლა.

— ისინი ორნი იყვნენ: ის მეორე ვიდაა? ჰკითხა არგეიმმა.

— კანტარინის კარგი მეგობრის ცოლია. რაკ იმას ქმარი მოუკვდა გრაფი ალბანი, მას აქეთ ეს ქალი კანტარინის ცოლთანა ცხოვრებს, ეს ქალი კანტარინის ცოლის კონსტანციასედ ნაკლები არ არის სილამაზითა.

— ის რომელი იყო, რომელსაცა გაუწიე სამსახური ჩემს საბედნიეროთ? კანტარინის მეუღლე, თუ ქვრივი?

— მე ქალების საიდუმლოება არის; იმათ არა სურთ თავიანთი საიდუმლოება განამსილონ. მაგრამ წავიდეთ, საღილობის დროა.

გულის ფანცქალი მისდევდა მღვდელს ასალგასდა ნემენცი. ჭაერი საგსვეთ ეხვენებოდა იმის სურნელებით, ვინცა შეიჭერო იმისი გული. შენობანი ლიდად მშვონდა; რომელს ოთახშიაცა შეიუვანდა მღვდელი, ეველგან

ის ქალი წამოუდგებოდა; ის სინჯავდა სასოებით ფო-
რტოფიანოსა, გიტარებსა, ნოტებსა, მეირფას კრიალოს-
ნებსა, არიოსტას ტასოს თხზულებაებსა, მეირფას
უდებში შეკრულსა ტ დიდის ტრფობით შესაროდა, თი-
თქოს ის ქალი უდგა წინაო,

— მაშ თქუენ ბძანებთ მამაო, რომ კანტარინი
ძლიერ სასტიკად თვალუურ ადევნებს თავის ცოლსაო?
ჴკითხა არგეიძა.

— არა, მე მაგას არ გეუბნები, მიუგო მღვდელმა,
იმას სრული თავისუფლება აქუს მიცემული, რაც კი
სურს. კანტარინი ისე მტკიცედ დარწმუნებული არის
თავის ცოლის ერთგულებასედ, რომ ეჴვი არაფერში
აქუს, ცოლი თუმცა ძალიან ახალგაზდა არის, მაგრამ
არც ერთხელ არ მიუცია მიზეზი თავის ქმრისათუს
უკმაყოფილებაზედ. ქმარი ხანში შესულია თითქმის
კარგად ტ ცოლს რომ მოუნდომებია ქმრად, სიყვა-
რულით კი არ მოუნდომებია, მხოლოდ დიდის კაცო-
ბის გულისათუს. დღევანდლამდინ იმან სიყვარულისა
ა-ა იცისრა, იქნება ქმარის შიშისაგანაც, არ ეიცი.
მე კანტარინს კარგად ვიცნობ. ერთის ეჴვის აღებით,
ცოლიც დაიღუპება ტ თითონ ის უბედურიც, რომე-
ლიც გაბედავს იმის აშკობასა. ამასედ ბევრს რასძეს

ლაპარაკობენ კანტარინზედ, რომელსაცა მიეჩნია თაკის შინაურ საიდუმლოებად.

რდესაც ეველა დასინჯეს, გამოვიდნენ.

არნგეიმა ველარ შეიმაგრა თავისი გულის გრძნობა ⁄ გულწრფელობით გამოსთქვა, რომ იმ ვენეციის მშ- ვენიერმა ქალმა შეიპყრო ამისი გული, მაგრამ ის არ იცოდა, ცოლი იყო კანტარინისა, თუ ქვრივი ქალი. მღვდელი ეუბნებოდა, რომ ეს თავისი უადგილო გრძ- ნობა შეემაგრებინა, რადგანც საუბედურო ბოლო უნდა ჰქონებოდა; მაგრამ ამასთანავე ფიქრობდა იქნება ქვი- რივი ქალი იყოსო, მაგრამ ან ერთს, ან მეორეს რო- გორ შაეტყოთ ესა. არაბისაგან? ან, კიდევ მენავეთა- გან? სალამოზედ არნგეიმი მივიდა წყლის კიდზედ, მა- გრამ ვერც მენავენი იპოვნა იქა ⁄ ვერც თჯთან ნავი, ის გზა არევით უვლიდა კანტარინის სასახლესა; ის დაიარებოდა ყოველს ადგილს, სადაც ქი დაიარებოდა ვენეციის კეთილშობილი საზოგადოება, დადიოდა ეკ- ლესიაში, სადაც დიდის ყურადღებით სინჯავდა მლო- ცველებს, მაგრამ თავის გრძნობის საგანსკი ვერა ჭვო- ვებდა. ის დარწმუნებული იყო, თუ ენახა სადმე, რაც უნდა გახვეული ყოფილიყო, ჰირბადეში, მაინც იცნო- ბდა; მართლადაც, იმან ნახა ერთს დღესასწაულს დღეს

იმ მეიდანზედ, რომელსაცა ეწოდება კიოჯი, მაშინვე იცნო ის ოთხივე ჰაწაწა ფეხები, მაგრამ იმ ორივე ქალის ტანიც ჯ ჰაწაწა ფეხებიც ისე ერთმანერთის ჰგავსნი იყვნენ, რომ ვერ შეიძლებოდა ვერას გზით ეცნო კაცს, თუ ვინ რომელი იყო; რომ ვერა შეიტყო-რა, შეწუხებული მივიდა თავის ნავთან, ჩაჯდა ჯ მიეცა წელის ზვირთებსა ფიქრის გასართავად. რომ გაერთო დრო, დაუწყო ლაპარაკი ერთს მენავეს, რომელმაცა უთხრა, რომ ის იყო გრაფინია ალბანის მენავე. ამან იმ ქალებისა კი ვერა შეატყობინარა ჯ ეს კი უთხრა, რომ კანტარინის თაყის ახალსასაზაფხულო სასახლეში იქ მასკარადიც იქნებაო. მრთელი ვენეციის დიდი საზოგადოება იქ არის მოწვეული, ამასგარდა ვინც მასკას გაიკეთებს, თუნდა მოწვეული არ იყოს შეუძლიან შევიდესო. ესეც დაუმატა გრაფანია ალბანი, კითხულობდა არნგეიმი იქნება თუ არა ბალჰიო, იმას ბალიანა სურს, ისიც იქ იყოსო. ეს რომ შეიტყო არნგეიმა, სიხარულის ფერმა გადაჰკრა სახეზედ, მაგრამ ის ფიქრობდა, ეს უთქვამს ალბანის ჯ არა კოსტანციასაო. მაშ როგორცა სჩანს, ქერეკს გრაფინიას მოუცია ჩემთჳს ეურადღებაო; ის ამაზედ დარწმუნდა ჯ დაბეჯითდა, რომ ქერეკს ქალს უნდოდა ამისი ნახვა

შიშის ფიქრისაგან გამოვიდა არნგეიმი, რადგანც იფიქრა, ცოლი ხომ არ არის კანტარინისა, რომ იმისგან იშიშოდეს ან ქვრივ ქალისათჳს ის რა თავს გამოიდებსო. გაეგონა სიყვარული ვარდის ფერის ჰიერითგან ან მერე მომკვდარიყო თუნდა, ეს მიაჩნდა, არნგეიმს, აღელვებულს სიყვარულისაგან ეშაფოვილს კაცსა. როდესაც ის მოვიდა შინ, მეორე დღეს, დილით უბძანა თავის მსახურსა მოეშზადებინა სალამოსათჳს ბერძნული ტანისამოსი, რომელსაცა იცვამდა ხოლმე მგზავრობის დროსა. ამას გარდა ეკიდნა საბერძნეთის მეხოძალიდის ტანისამოსი თავის მენავესათჳს.

იმან ღრმად იცოდა იტალიანური ენა, მიღებული დიდს საზოგადოებაში; ლაპარაკობდა აგრეთვე ყოველს ევროპიულს ენაზედ, ასე რომ იმას ვერ შეატყობდა კაცი, თუ რომლის თემის ხალხს ეკუთნიდა. სალამოზედ ჩაიცო ბერძნული ტანისამოსი, ჩაჯდა ნაცში ან გაერია მიმავალ ხალხში ბრენტის სოფლისაკენ, რომელსაცა იყო ათ ჟერსზედ ქალაქითგან ან სადაცა საზაფხულო სასახლეში ჰქონდა ბალი კანტერინს. როდესაც მივიდა არნგეიმი, ღამე იყო ან დაინახა სასახლე ბრეინვალეთ გაჩაღებული საშთლებითა, ხალხი დიდ ძალი იყოდა, შუზიკის ხმა გამოდიოდა. იმან

გაიკეთა მასკა Ⱃ შევლო რაშდენიმე ზალები მდიდრულად მორთულები, სადაცა ისეთი ხალხის ჭდევა იყო, რომ ძლივს აპობდა იმ ხალხს რომ მიდიოდა; ყველას ჰირის სახეზედ მასვა ჭქონდათ გაკეთებულები, ზოგნი ტანციობდნენ, ზოგნი ეაეანებდნენ, ზოგნი დადიოდნენ Ⱃ ზოგნი ბუფეთს ეხვევოდნენ, სადაცა ბრწყინავდა ურიცხვი ვერცხლეულება, Ⱃ სადაცა მდიდრად ჩაცმულნი მოსამსახურენი იმსახურებოდნდნ. უკანა მხრივ ზალებში იყვნენ ქალები Ⱃ კაკები მასკებიანი, რომელნიცა შემოხვეოდნენ დიდს მრგვალ მწვანე სტოლებსა, რომელზედაც ეყვნენ ოქროულება, ქისები სავსე ოქროებითა, ეტყობოდათ აქ თამაშობდნენ ქალალდსა.

არნგეიმი დაეძებდა გაფაციცებული იმ ურიცხვ ხალხში იმ ვარსკვლავს, რომელიცა განაგებდა ამის ბედსა. რომ ახლო გაესინჯა ეს სათამაშო სტოლები, არნგეიმი მიეიდა ახლოს ერთ სტოლთან, ამოიღო ქისა ოქროთი სავსე ჯიბითგან, Ⱃ აიღო ველში სათამაშო ქალალდი, ამან წაგო. მეორეთ უფრო ბევრს ჩამოვიდა, კიდევ წაგო; მესამეთ, გაჯავრებული უფრო კიდევ ბევრს ჩამოვიდა. ამდროს, რა გახედა ჰირ Ⱃ ჰირ, თავს ზარი დაეცა. იმან დაინახა ერთი ქალი, ბერძნულად ჩაცმული, მშვენიერის მოელვანილებისა;

ულზედ ეგდო მარგალიტის მეწკვი ჯ საუკარლად გადმოჰფენოდა ბრტყელ მკერდზედ შავი გიშერივით თმები. მასკა ჰქონდა წმინდის კანისაგან შედგენილი, მაგრამ სახის გარჩევა მაინც შეუძლებელი იყო, ის თვალ დაკვირვებით უყურებდა არნგეიმსა, რომელიც ფიქრში ჩაფლული იყო, მინამ გვერდს მჯდომა არ უთხრა, შენმა ქალალდმა მოიგოვო, მინამ ვერ გამოფხიზლდა; ამან მოიგო დიდ ძალი ფული.

მშვენიერი ბერძნის ქალი, როგორც ეტყობოდა დიდი მონაწილე იყო არნგეიმის თამაშობაში. ის იცინოდა ჯ ელაპარაკებოდა გარს მყოფთა. არნგეიმს, ამ გამბედავს მოთამაშეს, ყველამ ყურადღება მიაქცია. მშვენიერი ბერძნის ქალი რა მოშორდა, შევიდა ჰირ ჯ ჰირ ზალაში, სადაცა რამდენიმე წამის შემდეგომ არნგეიმიც შეჰყვა. იქ მეოფნი ყველანი კითხულობდნენ. თუ ვინ იყო ეს ბერძნულის ტანისამოსით. ზოგნი ანბობდნენ სერბის მთავრის შვილიაეო, ზოგნი რას ჯ ზოგნი რასა.

არნგეიმი მიეშურებოდა ანდამატისაკენ, იმას ეჭვი აღარა ჰქონდა, რომ ის არ ყოფილიყო. რომელიცა გამოიხსნა წყალში ჩაკარდნისაგან ჯ იქნება, დახრჩობისაგანაც, თვალებში უელავდა სიყვარული. რადეაც

დაინახა თავისი გრძნობის საგანი, მივიდა გაბედვით ჯ სთხოვა ეტანცნია ამასთან. იმან ეს თხოვნა მიიღო სიამოვნებით; ჯ როდესაც ხელი მოჭიდა, იგრძნო არნგეიმა რომ ამ ქალს მკვლავები უკანკალებდნენ. როდესაც ტანციობა გაათავეს ჯ არნგეიმი გაეცილებდა ქალსა თავის დასაჯდომ ალაგამდინ, ქალი ხმას იცვლიდა. ის ეტყოდა მადლობასა, რასაკვირველია ესეც ჰასუხს მოუგებდა ალერსიანად.

არნგეიმი მაინც შიშობდა ჯ გაბედვით ვერ ემოქმედნა, ის მერე ამის შემხდგომს გავიდა მეორე ზალაში, მაგრამ ისევე მობრუნდა სისწრაფით იქ, სადაცა დაუტევა ბერძნის ქალი, რომელიცა ისევე იქ იყო; თითქმის არნგეიმს ელოდაო. როდესაც ქალმა დაინახა, მივიდა ჯ სთხოვა ეტანციათ ერთად ბერძნულად. არნგეიმი ჩინებულად ტანციობდა ბერძნულად; ქალი სიამოვნებით სან გამოეთამაშებოდა ტანციობაში, სან დაშორდებოდა, თითქოს თავისთან იტუებსო ჯ სან მიახლოვდებოდა, საბერძნეთის თამაშობის რიგი როგორც არის. ტაშის კვრა შეიქნა ხალხში, როდესაც არნგეიმა ქალი თავისავე ალაგას მიიყანა. ძმეენიერმა თვალებმა სიხარულისაგან გაუელვეს ქალსა, როდესაც არნგეიმა ხელი ეოუჭირა ჯ მადლობა გადაუხადა.

ხალხი ორივ დაირივა, არნგეიმს თუმცა ქალი დაეკა-
რგა ამ ხალხში, მაგრამ სიყვარულისაგან შიშ დაკარ-
გულმა, გაბედვით დაუწყო მოძებნა. ბოლოს იპოვნა
ურიცხვ მასკების შორის, რომელთანაც მოვიდა, რო-
გორც მცნობთან ჯ რა გაკვირდ, როდესაც ქალმა
მიიღო დიდის ალერსით როგორც მცნობი, მაგრამ
უარი უთხრა მესამედ ტანციობაზე. ამ უარმა ისე
მოჭკლა არნგეიმი, რომ თითქოს გული ხანჯლით
დაუკოდესო. იმან თითქმის ესეც იფიქრა, რომ ქალი
თავის შესაქცევად ასე მეპურობაო. მაგრამ სიყვარულმა
ეველა ცაავიწყა. იმას უნდოდა დასდევნებოდა ქალსა
ჯ შეეტეო, თუ რათ მისცა ამისიანა შეურაცხება. იქ
ვიღაცა მასკამ გზა შეუკრა. ის მარდად ჩაუდგა შუაში ჯ
შემოუძახა. «ნუ შებედამო»! ჯ ორნივენი გაქრნენ იმ
ხალხის წყებაში. არნგეიმ შეკრთა; ამ სიტყვებმა ისე
მოკლეს, რომ სიტყვის თქმაც ვეღარ მიახერხა; იმან
მოინდომა გაჭოლოდა იმ მასკას, რომელმაც ასე სა-
სტიკად გზა შეუკრა, მაგრამ ვეღარ იპოვნა. ამ დროს
ერთი ჰატარა არაბი ბდიდრულის ტანისამოსით მიეპა-
რა არნგეიმს, კალთა გამოსწია ჯ როდესაც მიიხედა,

ამ პატარა არაბმა ბარათი ჩაუდო ხელში. ის შესდგა. პატარა არაბი პასუხს ელოდა. არ ნბეიმი მოვიდა, იქ-ვე ერთს პატარა ოთახში ჯ წაიკითხა შემდგომი მო-ნაწერი, რომელიცა იყო ქალის ხელით დაწერილი: »შეუპოვარო უცხო ქვეყნელო! თუ რომ შენი გული იმავესა გრძნობს, რასაცა გამომეტყველებენ შენი თვა-ლები, მაშ გამოჭვე ამ ბარათის მომტანსა.»

(ბოლო მერე იქნება.)

1874 წელსა.

«ცისკრის» დაბარება შეიძლება ამ სახით: ტფილისში, ადგილობრივ გაუგზავნელად თუ გაგზავნით; 8 მანეთი.

რედაქცია იმყოფება ბაზრის ქუჩაში, თამამშოვის სახლებში.

ვისაც ჟურნალი დააკლდეს ან თავის დროზედ არ მიერთოს, უმორჩილესად ითხოვს რედაქცია, მაშინვე აცნობოს ამ ადრესით:

«ცისკრის» რედაქტორს ი. კერესელიძეს, ტფილისში.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 25 марта, 1874 года.